01/09/2019

სალოცავს კარი რამდენჯერმე დაჰკიდეს, მაგრამ ყოველ ჯერზე ჩამოვარდა. სწორედ ამიტომ მას “კარუგდებელი” უწოდეს



სოფელ გოგნში, წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი,

რომელიც “კარუგდებელის” სახელით არის ცნობილი თერჯოლა-ტყიბულის დამაკავშირებელი ცენტრალური გზიდან არც თუ ისე შორია. ეს ადგილი არა მხოლოდ სილამაზითაა გამორჩეული, სალოცავი დიდი მადლის მატარებელიც ყოფილა. ტაძარში მისული მომლოცველი უდაოდ იგრძნობს ნუგეშს.

ლეგენდის მიხედვით, სოფელ გოგნში ყველა მამაკაცი დაღუპულა და მიზეზი ვერავის გაუგია. სოფლის ერთ მკვიდრს სიზმრად უნახავს, თქვენი უბედურების მიზეზი მდინარეში ეძებეთო. მართლაც, მდინარიდან წმინდა გიორგის ხატი ამოუბრძანებიათ

და ურემზე დაუბრძანებიათ. ხარები ყველაზე მაღალ ადგილზე ასულან და იქ გაჩერებულან. სწორედ იმ ადგილზე საყდარი აუგიათ. იმასაც ამბობენ, რომ სალოცავს კარი რამდენჯერმე დაჰკიდეს, მაგრამ ყოველ ჯერზე ჩამოვარდა. სწორედ ამიტომ მას "კარუგდებელი" უწოდეს.

არსებობს მეორე ლეგენდაც: სოფელში ერთი დავრდომილი მოხუცი ცხოვრობდა, რომელსაც წმიდა გიორგი გამოეცხადა. წმინდანმა მას უთხრა, რომ მოფრინდებოდა ჩიტი, რომელიც ერთ-ერთი ქვისაკენ გაუძღვებოდა. დავრდომილი მართლაც წამოდგა და გაჰყვა ჩიტს, რომელმაც ეს ქვა აპოვნინა. მოხუცმა ქვა იმ ადგილზე მიიტანა, სადაც ჩიტი დაიღუპა. სწორედ ამ ადგილზე ააშენეს სალოცავი, თუმცა მოგვიანებით დაანგრიეს და ქვები კლდიდან გადაყარეს. სანამ დაანგრევდნენ, სალოცავს კარი ჰქონდა, რომელიც მუდამ ჩამოგდებული ხვდებოდათ. დაუდარაჯდნენ სოფლის მაცხოვრებლები და ნახეს, რომ შუაღამისას კარი თავისით ვარდებოდა, ამიტომაც უწოდეს "კარუგდებელი". მოგვიანებით სოფლის ხუთმა მკვიდრმა ქვები კლდიდან ამოიტანა და ახალი, ოდნავ უფრო დიდი სალოცავი ააშენა. როცა წმინდა ადგილს მონადირე უახლოვდებოდა, იარაღს რამდენიმე მეტრით ქვემოთ ტოვებდა და ახლომახლო ტერიტორიაზე ნადირს არასოდეს კლავდა.

მოხდა ასეთი შემთხვევაც: კაცი ყავარჯნებით ამოვიდა, ილოცა და უკან ხელჯოხით გაბრუნდა. ტაძარს ბევრი მორწმუნე ცხვარსა და მამალს სწირავს, რომლებიც სალოცავის მიმდებარე ტერიტორიაზე ისე დადიან, ნადირიც კი არ ჭამს, მაშინ როდესაც სოფლის მაცხოვრებლებს პირუტყვი ღამე გარეთ რომ დარჩეთ, დილით ნადირისგან დაგლეჯილი დახვდებათ. სალოცავის გვერდით დიდი ჯვარია

აღმართული. იმ ჯვრის ძირში რამდენიმე ქვაა. სოფელში ერთი დავრდომილი ბიჭი ცხოვრობდა, გვარად რობაქიძე იყო, წლების განმავლობაში ვერ დადიოდა. მას წმინდა გიორგი გამოეცხადა და უთხრა, ამ ადგილზე ტაძარი უნდა აიგოსო. პირველი ლოდი თავად ამ დავრდომილმა ბიჭმა ამოიტანა და წმინდა გიორგის ძალით, სიარული შეძლო.

***

თამარ მეფის 1188 წლით დათარიღებულ სიგელში მოხსენიებულია გოგნის ციხის-თავი. 1778 წელს მეფე სოლომონ I-ის მეუღლემ, მარიამ დედოფალმა გოგნში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია ააგო და დააფუძნა მონასტერი. სოფლის ჩრდილოეთით, 3 კილომეტრში შემორჩენილია ბერციხის ნანგრევები.
ამჟამად კი წმინდა გიორგის სახელობის ტაძარია აშენებული, რომელიც ქართული ჩუქურთმებით უნიკალურია საქართველოში.

წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი VII საუკუნეში აუშენებიათ. იყო პერიოდი, როცა გელათის მონასტერს ექვემდებარებოდა. აქ არის ძველი მონასტერი, რომელ-საც ნასაყდრალს ეძახიან და განდეგილი ბერების საცხოვრებელი ადგილი იყო. ამ-ბობენ, რომ ამ სალოცავში წმინდა გიორგის თავის ქალა იყო დაბრძანებული. დავით ულუსა და დავით ნარინის მეფობის პერიოდში შემოემატა წმინდანის მენჯის ძვალი. აქ წირვა წლების განმავლობაში აღევლინებოდა. მორწმუნეებმა წინაპრებიდან გადმოცემით იცოდნენ ტაძრის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ. აქ უშვილო წყვილებს, დავრდომილებს, დასაოჯახებელ ახალგაზრდებს ხშირად შეხვდებით. სალოცავის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი ძველი ურთხმელია, გარკვეულწილად ესეც ამ სალოცავის სიძველეზე მიანიშნებს. იშვიათია, ურთხმელის ტყე ასეთი სახით სადმე იყოს შემორჩენილი, რადგან ურთხმელის მასალა ძვირად ღირებულია. ამ ტერიტორიას ვერ ეხებოდნენ.

***

სოფლის მცხოვრებლებმა მოინდომეს, ტაძრისთვის კარი დაეკიდათ, წვიმის დროს ტაძარში პირუტყვი თავშესაფარებლად რომ არ შესულიყო. კარი შეაბეს, მიუხედავად იმისა, იცოდნენ მას "კარუგდებელს" უწოდებდნენ. ერთხელ დაკიდეს, ჩამოვარდა, შემდეგ იგივე განმეორდა. დაუდარაჯდნენ, იქნებ კარს ვინმე აგდებსო, დაღლილებს წამიერად წასთვლიმათ. უეცრად, ხმა გაიგონეს, დაინახეს საყდარს კარი ჩამოვარდნოდა, გარშემო ყველგან დაიარეს და უცხო ვერავინ შენიშნეს. მოგეხსენებათ, საღამოს ლოცვის შემდეგ, ეკლესიები იკეტება. ამ სალოცავში ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა მოვიდეს, წმინდა გიორგის შესთხოვოს მოილოცოს და გული მოიოხოს. "კარუგდებელის" დანიშნულება ეს არის.

***

გოგნის ტაძარში მისულს ერთი მორჩილი დაგვხვდა. ტკბილად გაგვესაუბრა. როცა გაიგო “კარიბჭის” ჟურნალისტი ვიყავი გაუხარდა და მცირე საუბარიც ვთხოვე.

მორჩილი გაბრიელ ქარჩავა:

-გოგნის ტაძარში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამოდის ხალხი მოსალოცად. აქ ბევრი სასწაული ხდება. მარტო სამმა ადამიანმა მითხრა, წლები არ გვყავდა შვილი მოვედით რწმენით და შვილი მოგვეცაო. ერთს ათი წლის განმავლობაში არ ყავდა შვილი და რწმენით მოსულს გოგნის წმინდა გიორგიმ წლისთავზე შვილი მისცა. ძალიან მადლიანი და ნალოცი ადგილია.

ამ ტერიტორიაზე ორი ტაძარია. ერთი მცირე ზომის საყდარია, რომელიც 20 წლის წინ აშენდა გოგნელების მიერ. მანამდე იყო ეკლესია და კომუნისტების დროს დაანგრიეს. იქვეა ახლად აგებული ტაძარი, რომელიც 2010 წლიდან შენდება და უკვე გაუსწრო ნიკორწმინდის ტაძარს ჩუქურთმების რაოდენობით. ისტორიული ტაძრები რაც გვაქვს, ჩუქურთმების უმეტესი ნაწილი იქიდან არის აღებული. გამორჩეული მშენებლობაა. სამწუხაროდ დაუფინანსებლობის გამო დროებით შეჩერებულია.

-სამონასტრო ცხოვრება რამდენი წელია მიმდინარეობს?

-დახლოებით რვა წელია, რაც გოგნში სამონასტრო ცხოვრებაა. აქაურობის წინამძღვარი, დეკანოზი იოანე რევიშვილია. მონასტრის წინამძღვარი მეუფე გიორგია (შალამბერიძე). წირვა აქ არ ტარდება. წირვაზე ქალაქში ჩავდივართ. მონასტერში სამი წევრი, საბეროები ვართ.

-აქ ბევრი ხალხი მოდის?

-ყოველდღე უამრავი ხალხი მოდის მონასტერში. შეჭირვებულ ადამიანებს შეძლებისდაგვარდ ვანუგეშებთ. სულიერთან ერთად მატერიალურ დახმარებასაც ვუწევთ.

-მონასტერი რით ცხოვრობს?

-შემოწირულობებით. ეზოში საეკლესიო მაღაზია გვაქვს. ჩვენი მეურნეობაც გვაქვს.

-თქვენ საიდან ხართ?

-მე სოხუმელი ვარ. რუსეთში გაზრდილი. მონასტრულმა ცხოვრებამ რომ დამაინტერესა საქართველოში 2013 წელს ჩამოვედი. რამდენიმე მონასტერი მოვიარე და მერე აქ დავფუძნდი. საბოლოოდ მივხვდი, ბერობის იქით გზა არ მაქვს. ღმერთმა გოგნის მოანსტერში მომიყვანა და მას შემდეგ 5 წელია აქ ვარ.

-ღმერთმა შეგაძლებინოთ ღირსეულად ატაროთ თქვენი ჯვარი.

-გაგაძლიეროთ ღმერთმა. გაიხარეთ.



- karibche.ambebi.ge